პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 მარტი, სამშაბათი, 1985 წ.
№ 48 (7854) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ყურადღება:

ხვალ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება, რომელიც განიხილავს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის 21 იანვრის კრების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას, ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის აქტუალურ საკითხებს.

კრების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტის თავმჯდომარეები, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ხელმძღვანელები, სპორტული სკოლებისა და სპორტული ბაზების დირექტორები.

მოწვეულთა რეგისტრაცია დაიწყება 10 საათზე, კრება — 11 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტკომიტეტში

გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა. კოლეგიამ განიხილა რესპუბლიკაში სპორტული სკოლების, სექციებისა და ჯგუფების დისლოკაციის საკითხი. საუბარი იყო იმაზე, რომ სპორტის სახეობების მიხედვით ჯგუფების განაწილება ხშირ შემთხვევაში ხდება ადგილებზე არსებული ტრადიციისა და პირობების გაუთვალისწინებლად. შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. იმსჯელეს აგრეთვე მწვრთნელ-მასწავლებელთა ატესტაციის მიმდინარეობის, სპორტული ორგანიზაციების, საზოგადოებებისა და უწყებების სპორტულ სკოლებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებზე, ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ზონალურ და საერთაშორისო ტურნირებში საქართველოს მოჭადრაკეთა მონაწილეობის შესახებ.

კოლეგიის სხდომამ შეაჯამა „მეგობრობა-84"-ის საერთაშორისო ტურნირში რესპუბლიკის სპორტსმენთა გამოსვლის, აგრეთვე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა და ძიუდოისტთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირების შედეგები.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

სპორტული გაზაფხულის კვირაძალზე

თვის მონაგარი

წლის პირველი თვე სპორტული შეჯიბრებებით მაინცდამაინც მდიდარი არ ყოფილა, სამაგიეროდ თებერვლის სპორტული პანორამა მრავალფეროვანი გამოდგა: საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ არაერთი საინტერესო პირველობა თუ ტურნირი ჩატარდა. რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრების მასპინძელი იყო ჩვენი რესპუბლიკაც.

თავისუფალი ჭიდაობა. თებერვლის პირველ რიცხვებში ჭიდაობის სამყაროს გულისყური თბილისის სპორტის სასახლისკენ იყო მიპყრობილი; რამდენიმე დღეში ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა საქართველოს დედაქალაქში. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობაზე ცხრა ქვეყნის უძლიერესი ათლეტები შეიკრიბნენ. ჩვიდმეტი ფალავანი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა, სამი მოჭიდავე კი საბჭოთა კავშირის პირველი გუნდის სახელით ასპარეზობდა. მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება 20 წლის თბილისელი სპორტსმენის ლერი ხაბელოვის ბრწყინვალე ჭიდაობა. ამ უდავოდ პერსპექტიულმა ფალავანმა (შეგახსენებთ, რომ ხაბელოვი მსოფლიოს ჩემპიონია ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის) „გზადაგზა" ორი მსოფლიო ჩემპიონი დაამარცხა და ტურნირის ლაურეატი გახდა. ეს ხაბელოვის პირველი დიდი გამარჯვებაა მოზრდილთა ტურნირში, გამარჯვება, რომელმაც უფრო დიდი სარბიელისკენ გაუკაფა გზა. ქვეყნის ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება მიიპყრო აგრეთვე სოხუმელმა მამუკა ხურციძემ. მან რამდენიმე ტიტულოვან სპორტსმენს დააყრევინა ფარ-ხმალი, მათ შორის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს სანასარ ოჰანესიანს, და მეორე ადგილი დაიკავა 90 კგ წონის მოჭიდავეებში. დანარჩენებმა, სამწუხაროდ, ვერაფრით გამოიჩინეს თავი. ამ „დანარჩენთა" შორის გამოცდილ მოჭიდავეებთან ერთად ახალგაზრდებიც იყვნენ, ისინი, ვინც საქართველოს ბოლო ჩემპიონატებში დაწინაურდა და ახლა პირველ ნაბიჯებს დგამს დიდ სარბიელზე.



თბილისის ტურნირს დაემთხვა იუნიორთა საკავშირო პირველობა, რომელიც კიროვაკანში გაიმართა. სწორედ ასეთ შეჯიბრებებში მოწმდება ფალავანთა ახალი თაობის ძალა და ოსტატობა. კიროვაკანში საქართველოს სპორტსმენებმა ათი სხვადასხვა ხარისხის მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ეგია მუსოიანი, დავით გორგაძე და ლევან ებანოიძე. ჩინებული შედეგია! აქვე ერთიც უნდა ითქვას: ჭაბუკთა და ახალგაზრდულ საკავშირო პირველობებში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები წარმატებით ასპარეზობენ (ეს თავისთავად სასიხარულო ფაქტია), მაგრამ დრო რომ გავა და მოზრდილთა ტურნირებზე მიდგება ჯერი, გუშინდელი საიმედო იუნიორები საგრძნობლად თმობენ პოზიციებს და მოკრძალებულ შედეგებს სჯერდებიან. ეტყობა, ზოგიერთი ჩვენი მწვრთნელისთვის მთავარ ორიენტირად ჭაბუკთა შეჯიბრებები იქცა. არადა, ჩვენი ძირითადი მიზანი უნდა იყოს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონების აღზრდა და წვრთნის მრავალწლიანი გეგმაც უპირველესად ამ მიზანს უნდა ემორჩილებოდეს.

ძიუდო. ჭიდაობის ამ სახეობაში საქართველოს წარმომადგენელთა შედეგები უდავოდ სტაბილური და დამაჯერებელია. წლები გადის, დიდ სარბიელს ტოვებენ აღიარებული ლიდერები, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ ადგილს იკავებს ღირსეული, საიმედო ახალგაზრდობა. ერთი სიტყვით, თაობათა ცვლას ქართული ძიუდოსთვის არაფერი დაუკლია, საეჭვო არ გაუხდია მისი მომავალი. ყოველ შემთხვევაში, თბილისის საერთაშორისო ტურნირმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ნაკრებმა შემოიკრიბა ნიჭიერ სპორტსმენთა დიდი ჯგუფი, რომ ეს ნაკრები ამთავითვე მზად არის წარმატებით გაართვას თავი ყველაზე დიდ და სერიოზულ ამოცანებს.

ოთხი პირველი, ორი მეორე და ოთხი მესამე ადგილი — ასეთია ქართველ ძიუდოისტთა ნადავლი. ეს მედლები მოპოვებულია ერთ-ერთ უძლიერეს საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მსოფლიოს თოთხმეტი ქვეყნის, მათ შორის— იაპონიის ბევრი საუკეთესო ათლეტი გამოდიოდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მალხაზ ბერუაშვილი და აკაკი კიბორძალიძე, რამაზ მარგველანი და გიორგი თენაძე... ტურნირის შედეგებს რომ აჯამებდა, საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გენადი კალეტკინმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს სპორტსმენთა მაღალი ოსტატობა. სხვათა შორის, ნაკრებში მიწვეულია შვიდი ქართველი ძიუდოისტი, რომელთაც წლეულს ევროპულ და მსოფლიო სარბიელზეც ვიხილავთ.

თებერვალშივე გაიმართა ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა. ამ წარმომადგენლობით შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. თავიანთ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს ამირან ტოტიკაშვილმა, დავით დემეტრაშვილმა და დავით ბაგაურმა.

კლასიკური ჭიდაობა. თეიმურაზ აფხაზავა და თემო ყაზარაშვილი კარგა ხანია დიდი წარმატებით გამოდიან უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში. მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრებში პოზიციების შესანარჩუნებლად, ცხადია, გუშინდელი და გუშინწინდელი წარმატებები საკმარისი არ არის. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების საგზურები რომ მოიპოვო, ყოველი ახალი სეზონის სასტარტო შეჯიბრებებში უნდა დაამტკიცო შენი სიძლიერე. თებერვალში გამართულმა ტურნირებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ფალავნები კარგ სპორტულ ფორმაში არიან: აფხაზავამ შვეციის დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, ყაზარაშვილმა — ლენინგრადში გამართულ პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ასპარეზობაში.

ბუნებრივია, გულშემატკივრებს აინტერესებთ, ვინ დგას ჩვენი ლიდერების უკან, როგორი თაობა მოდის კლასიკურ ჭიდაობაში. შარშან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მოპოვებულმა გამარჯვებამ (ალბათ გეხსომებათ, რომ ტაშკენტში საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა), სპარტაკიადის შემდეგ გამართულ ახალგაზრდულ ტურნირებში მიღწეულმა წარმატებებმა გარკვეული იმედები ჩაგვისახა. ახლახან ჩვენმა ჭაბუკმა „კლასიკოსებმა" კრასნოდონში გამართულ საკავშირო ასპარეზობაშიც ისახელეს თავი — ცხრა მედალი მოიპოვეს. ერთი სიტყვით, პერსპექტივა საიმედო ჩანს, თუმცა, ცხადია, ჩვენს მწვრთნელებს დიდი გარჯა მართებთ, რომ დღევანდელი იუნიორისგან ხვალზევე ნამდვილი ფალავანი, ღირსეული ჩემპიონი ჩამოყალიბდეს.



წყალბურთი. უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის შემდეგ თვალნათლივ გამოიკვეთა ლიდერთა და აუტსაიდერთა ჯგუფის კონტურები. ამ ტურში თბილისის „დინამოს" წყალბურთელებმა სტაბილურად ითამაშეს და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. გუნდი ამაღლების გზაზე დგას, დინამოელებმა უაღრესად პრინციპული მატჩები მოიგეს, მათ შორის ჩემპიონატის ფავორიტებთან, და მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი პირველ ექვსეულში. მალე ალმა-ათასა და ტაშკენტში მეორე ტურის მატჩები გაიმართება. ეს შეხვედრები დაასახელებს იმ ექვს გუნდს, შემოდგომაზე ჩემპიონატის მედლებისთვის რომ გააგრძელებენ ბრძოლას. ვფიქრობთ, ამ ექვსეულში ქართველი წყალბურთელებიც იქნებიან.

კალათბურთი. თებერვალში დასრულდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტური, თუმცა ჯერჯერობით არც პრიზიორები გამოვლინებულან და არც ის გუნდები, გაისისთვის უმაღლესი ლიგის დატოვება რომ მოუწევთ. თბილისის დინამოელებმა კი, ისევე როგორც სატურნირო ცხრილის შუაში დამკვიდრებულმა სხვა გუნდებმა უკვე დაამთავრეს ჩემპიონატი. რა თქმა უნდა, მეშვიდე ადგილი ქართული კალათბურთის ტრადიციების შესაფერისი შედეგი არ არის, მაგრამ ამჟერად ჩვენი გუნდისგან მეტს ალბათ არც მოველოდით. თბილისელებმა ძირითადი ამოცანა შეასრულეს —ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ, ცალკეულ მატჩებში კარგად ითამაშეს და იმის იმედიც დაგვიტოვეს, რომ მომავალ ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ კოლექტივებს შეუერდებიან. დიახ, გაისისთვის თბილისის დინამოელთა პროგრამა-მინიმუმი პირველ ოთხეულში მოხვედრა უნდა იყოს. ასეთია ქართული კალათბურთის ათასობით გულშემატკივრის სურვილი — გულშემატკივრებისა, რომლებიც მოუთმენლად ელიან საყვარელი გუნდის აღზევებას.

თებერვლის სხვა შედეგებიდან უნდა აღინიშნოს ნინო გურიელისა და ელენა ახმილოვსკაიას წარმატება ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში, ელიზბარ უბილავასა და ზურაბ აზმაიფარაშვილის გამარჯვებები ანგოლისა და ზიმბაბვეს საერთაშორისო ტურნირებში, ახალგაზრდა ბადმინტონისტის დავით კაველაძის კარგი გამოსვლა იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, ჩვენი მოკრივეების დამაჯერებელი შედეგები „ბურევესტნიკისა" და „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოების პირველობებზე.



...დადგა გაზაფხული, სტარტი აიღო ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატმა, უფრო და უფრო იკრებს ძალას ახალი სპორტული სეზონი, რომელიც ბევრ საინტერესო ასპარეზობას გვპირდება.

ინფორმაცია

მოსკოვი. საერთაშორისო შეჯიბრება სინქრონულ ცურვაში ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" პრიზზე მოიგო საბჭოთა დუეტმა — ირინა პოტიომკინამ და ელენა ოსიპოვამ — 175,76. მეორე ადგილზე კუბელები თამარა ერნანდესი და რაისა სუარესი გავიდნენ — 153,065. კანადელი მოცურავე „ოლიმპიადა-84"-ის ვერცხლის პრიზიორი კაროლინა ვალდო ერთეულთა თანრიგში იყო უძლიერესი.

ერფურტი. სსრ კავშირ-გდრ-ის მოცურავეთა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ნოვოსიბირსკელმა იგორ პოლიანსკიმ. მან ჯერ 100 მეტრზე გულაღმა ცურვა მოიგო (55,47), მერე კი 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1.58,14. ეს შედეგი 0,27 სჯობს ტაშკენტელი სერგეი ზაბოლოტნოვის მიღწევას, რომელიც მან შარშან მოსკოვში, „მეგობრობა-84-ის" პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში აჩვენა.

ლახტი. მოთხილამურეთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 15 კილომეტრზე რბოლაში ყველას ნორვეგიელმა ტერიე ლანგლიმ აჯობა. მისი შედეგია 46,31,0. ორი მომდევნო ადგილი ფინელებმა რაიმო ჰამალაინენმა (47,33,0) და ასკო ლუტიომ (47,55,0) დაისაკუთრეს. საბჭოთა სპორტსმენები ამ ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ.

CITIUS • ALTIUS • FORTIUS

სპორტის ოლიმპიური სახეობები

თანამედროვე ხუთჭიდი

რაკი სპორტის ამ სახეობას თანამედროვე ხუთჭიდი ჰქვია, იგულისხმება, რომ უნდა არსებულიყო არათანამედროვე, ძველი ხუთჭიდიც. მართლაც, ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სპორტის სახეობაში, რომელსაც უბრალოდ პენტატლონი—ხუთჭიდი ერქვა, მძლეოსნობის ეს სახეობა, „ანტიკური პენტატლონის“, „ანტიკური ხუთჭიდის“ სახელით, 1912 წლის ოლიმპიადის პროგრამაშიც შეიტანეს. ანტიკურ ხუთჭიდში შედიოდა სიგრძეზე ხტომა, შუბის ტყორცნა, რბენა 200 მეტრზე, ბადროს ტყორცნა და რბენა 1500 მეტრზე. ანტიკურ ხუთჭიდში შეჯიბრებები 1920 და 1924 წლების ოლიმპიადებზეც გაიმართა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჯერ შვეციასა და შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა ხუთჭიდი, რომელშიც ოფიცერთა საბრძოლო მზადყოფნის დონე აისახებოდა. მას „ოფიცრული ხუთჭიდი“ უწოდეს. ოფიცრულ ხუთჭიდში შედიოდა ცხენოსნობა, ფარიკაობა, ტყვიის სროლა, ცურვა და სირბილი. 1912 წელს, სწორედ მაშინ, როცა თანამედროვე ოლიმპიადების პროგრამაში ანტიკური ხუთჭიდი გამოჩნდა, პიერ დე კუბერტენის წინადადებით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესმა გადაწყვიტა თამაშების პროგრამაში შეეტანათ კუბერტენის მიერ დამუშავებული ოფიცრული ხუთჭიდის კომპლექსიც. მას შემდეგ სპორტის ეს ურთულესი სახეობა ყველა ოლიმპიადის პროგრამაში შედის. 1948 წლამდე შეჯიბრებებში მხოლოდ სპორტსმენი ოფიცრები დაიშვებოდნენ. 1948 წელს კი, მას შემდეგ, რაც თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო კავშირი შეიქმნა (1969 წელს იგი თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირად გადაკეთდა), ეს შეზღუდვა მოიხსნა, საასპარეზოდ სამოქალაქო პირებიც დაუშვეს და ოფიცრულმა ხუთჭიდმა მიიღო მისი დღევანდელი სახელწოდება — „თანამედროვე ხუთჭიდი“. 1952 წლამდე სპორტსმენები მხოლოდ პირად პირველობაში გამოდიოდნენ. 1952 წლიდან კი გუნდური შეჯიბრებებიც ტარდება.

თანამედროვე ხუთჭიდში შედის: ცხენოსნობა (დაბრკოლებათა გადალახვით), ფარიკაობა დაშნებით პირველ ჩხვლეტამდე, პისტოლეტით სროლა (20 გასროლა 4 სერიად), ცურვა 300 მეტრზე თავისუფალი სტილით და მძლეოსნური კროსი 4 კილომეტრზე. ასპარეზობა სწორედ ამ თანმიმდევრობით ეწყობა და თითო სახეობას თითო დღე ეთმობა (1912-1936 წლებში თანმიმდევრობა ასეთი იყო: სროლა, ცურვა, ფარიკაობა, ცხენოსნობა, კროსი). 1964 წელს მანამდე სავალდებულო ცხენოსნური კროსი კონკურით შეიცვალა. 1912-1952 წლებში სპორტსმენის შედეგი ხუთ სახეობაში დაკავებული ადგილების ჯამით განისაზღვრებოდა, 1956 წლიდან კი ხუთჭიდელებს ერიცხებათ მომგებიანი ქულები შემდეგი წესით: ცხენოსნობაში დისტანციის უშეცდომოდ გავლისათვის დადგენილ დროში სპორტსმენი ღებულობს 1000 ქულას; თუ შედეგი დადგენილ დროით ნორმაზე მეტია (ნაკლებია), ამ მაჩვენებელს აკლდება (ემატება) ხუთი ქულა ყოველ ერთ წამზე; სპორტსმენს ქულები აკლდება ტექნიკური შეცდომებისათვისაც (დაბრკოლებათა დანგრევა და სხვა). ფარიკაობაში შეხვედრათა 70 პროცენტის მოგებისათვის დაწესებულია 1100 ქულა; ყოველი მეტი მოგებისათვის ემატება (ყოველი ნაკლებისათვის კი — აკლდება) იმდენი ქულა, რამდენსაც შეადგენს 1100-ის განაყოფი ბრძოლათა რაოდენობაზე (გუნდურ პირველობაში არ ითვლება ერთი გუნდის წევრებსა და მხოლოდ პირად ჩათვლაში მონაწილე სპორტსმენებს შორის გამართულ შეხვედრათა შედეგები). სროლაში 194 ქულის მოგროვებისათვის ხუთჭიდელს ერიცხება 1000 ქულა; ყოველ მეტ (ნაკლებ) ქულაზე ამ შედეგს ემატება (აკლდება) 22. ცურვაში საწყის შედეგად მიღებულია 3 წუთი და 54,0 წამი, რისთვისაც სპორტსმენი 1000 ქულას ღებულობს; უკეთესი (ან უარესი) შედეგისათვის ყოველ წამზე ემატება (აკლდება) 8 ქულა. მძლეოსნურ კროსში საყრდენი დროა 14 წუთი და 15,0 წამი; ამ შედეგისათვის დარიცხულ 1000 ქულას ემატება (ან აკლდება) 3 ქულა ყოველ ნაკლებ (ან მეტ) წამზე. გამარჯვებულად ცხადდება ხუთჭიდელი, რომელიც მეტ ქულას მოაგროვებს.

1912-1956 წლებში შვედი ხუთჭიდელები მთელი თავით მაღლა იდგნენ დანარჩენ კონკურენტებზე და განუკითხავად ბატონობდნენ ოლიმპიურ ასპარეზზე. ამ პერიოდში მათ მხოლოდ ერთხელ — 1936 წელს დათმეს ოლიმპიური ოქროს მედალი (ბერლინში ეს ჯილდო გერმანელ გოტჰარდტ ჰანდრიკს შეხვდა) და არა მარტო „ოქრო“: 1912-1928 წლებში გათამაშებული 12 ოლიმპიური მედლიდან 11 შვედებმა მოიპოვეს და მხოლოდ ერთი „ბრინჯაო“ დაუთმეს გერმანელ ჰელმუტ კალს 1928 წელს. 1912-1956 წლებში ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ შვედი ხუთჭიდელები: გუსტავ ლილიენჰეკი (1912 წ), გუსტავ დიურსენი (1920), ბუ ლინდმანი (1924), სვენ ტოფელტი (1928), იუჰან ოქსენსტერნი (1932), ვილიამ გრუტი (1948), ლარს იორან ჰალი (1952 და 1956).

ამათგან ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა გახლავთ გენერალი სვენ ტოფელტი, რომელიც დღეს თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი გახლავთ. სვენ ტოფელტი ამავე დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია და საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე. გენერალ ტოფელტის სპორტული მიღწევები ამსტერდამში 1928 წელს მოპოვებული ოქროს მედლით არ ამოიწურება. მისი სპორტული ბიოგრაფია იმდენად ხანგრძლივი აღმოჩნდა, რომ ბევრს 1928 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ხუთჭიდში და 1948 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ფარიკაობაში უბრალოდ მოგვარეები ჰგონია. მაგრამ მოფარიკავე სვენ ტოფელტი სწორედ ის სვენ ტოფელტია, რომელმაც ოცი წლით ადრე ოლიმპიური გამარჯვება იზეიმა. ამსტერდამში ტოფელტმა ტყვიის სროლაში საკმაოდ საშუალო შედეგი — 187 ქულა — აჩვენა და მეექვსე ადგილზე დარჩა, მაგრამ ცურვაში მეორე იყო და ორი დისციპლინის ჯამში ხელთ იგდო ლიდერობა. ფარიკაობაში მან მეოთხე ადგილი დაიკავა და შეინარჩუნა თავისი პოზიცია. ცხენების განაწილების შემდეგ კი ტოფელტმა ხელი ჩაიქნია — მას ერთი მომცრო, პუტკუნა ცხენი შეხვდა (ცხენოსნებისაგან განსხვავებით, რომლებიც საკუთარი ცხენებით ჩადიან ოლიმპიურ თამაშებზე, ხუთჭიდელები მხოლოდ შეჯიბრებამდე ნახევარი საათით ადრე ეცნობიან „თავიანთ“ ცხენებს). რაღა ეს ცხენი და რაღა ღორიო, გულისტკივილით უთქვამს წილისყრის შემდეგ შვედ ოფიცერს, რომელიც 100 კილოგრამზე მეტს იწონიდა. მაგრამ მოხდა სასწაული და ცხენი გამძლე აღმოჩნდა; მართალია, ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა, მაგრამ ტოფელტმა ამ ცხენით მეთოთხმეტე შედეგი აჩვენა, რაც საკმარისი აღმოჩნდა საერთო პირველი ადგილის შესანარჩუნებლად. კროსს მდგომარეობა აღარ შეუცვლია.

მომდევნო ოლიმპიადაზე — ლოს-ანჯელესში სასწაული არ მომხდარა. კენჭისყრით ტოფელტს ისევ გალეული ცხენი შეხვდა, რომელმაც ვერ გაუძლო მხედრის წონას და სამჯერ წაიქცა დისტანციაზე. საბოლოოდ ტოფელტმა მეოთხე ადგილი დაიკავა. მეოთხე იყო იგი ბერლინის ოლიმპიადაზეც. მაგრამ თუ ლოს-ანჯელესში შვედებმა მაინც მოიპოვეს პირველი და მეორე ადგილები, ბერლინში ტოფელტი საუკეთესო იყო თანამემამულეთა შორის. აქაც ცხენოსნობაში მოეცარა ხელი, თორემ იქნებ ის ერთი ოქროს მედალიც არ დაეთმოთ შვედებს! სწორედ ბერლინში გადაწყვიტა ტოფელტმა, ჩამოშორებოდა თანამედროვე ხუთჭიდს და ფარიკაობაში გადასულიყო. გადაწყვეტილება მან ბერლინშივე შეასრულა და ვერცხლის მედალი მოიპოვა შვეციის დაშნით მოფარიკავეთა გუნდის შემადგენლობაში (სხვათა შორის, ამავე გუნდში გამოდიოდა აგრეთვე 1920 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ოფიცრულ ხუთჭიდში გუსტავ დიურსენი). ლონდონში მოპოვებულ ბრინჯაოს მედალზე უკვე ვთქვით. ხუთჭიდელი იყო სვენ ტოფელტის ვაჟი — ბიორნ ტოფელტიც. 1954 წელს იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. 1956 წელს ბიორნ ტოფელტი ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდა, მაგრამ ვერც პირად და ვერც გუნდურ ასპარეზობაში თავი ვერაფრით გამოიჩინა. თუმცა მსოფლიო ჩემპიონს იქნებ კიდეც გამოეჩინა თავი, რომ არა „მემკვიდრეობითი უიღბლობა“. ოლიმპიადის მასპინძლებმა — ავსტრალიელებმა საერთოდ ვერ შეძლეს ხუთჭიდელთათვის ცხენების მომზადება — მათ ნაჩქარევად მოაგროვეს ფერმერებში ორმოციოდე ჯაგლაგი, მაგრამ ყველაზე უარესი მათგან, როგორც „ოჯახური ტრადიცია“ მოითხოვდა, სწორედ ბიორნ ტოფელტს ერგო. ერთ-ერთი დაბრკოლების გადალახვისას ცხენმა მხედარი უნაგირიდან გადმოაგდო და ამ სიმბოლური აქტით დასრულდა ტოფელტების აქტიური ოლიმპიური ბიოგრაფია.

ყველა შვედი ოლიმპიური ჩემპიონი თანამედროვე ხუთჭიდში არმიის ოფიცერი იყო — ლეიტენანტი, კაპიტანი ან მაიორი. „ტრადიცია“ მხოლოდ 1952 წელს დაირღვა, როცა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ლარს-იორან ჰალმა — სკოლაში სადურგლო საქმის მასწავლებელმა. მან კარგად იცოდა, რომ ძალიან გაუჭირდებოდა ბრძოლა სამხედროებთან, რომლებსაც საგანგებო მომზადება ჰქონდათ გავლილი ცხენოსნობასა და ფარიკაობაში. ვილიამ გრუტი უკვე ოლიმპიური ჩემპიონი იყო, როცა ლარს-იორან ჰალი პირველად შეჯდა ცხენზე. დაძაბული ვარჯიშების შედეგად, ჰალი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ხუთჭიდელი გახდა. უკვე 1949 წელს ჰალმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა შვეციის გუნდის შემადგენლობაში. ეს წარმატება მან კიდევ სამჯერ გაიმეორა, 1950-1951 წლებში კი ორჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი პირად ჩათვლაში. ლარს-იორან ჰალი ერთადერთი ხუთჭიდელია, რომელიც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია პირად ჩათვლაში. თანაც მან ჰელსინკის ოლიმპიადა გამარჯვებულის გამოვლენის ძველი სისტემით მოიგო, მელბურნის ოლიმპიადა კი — ახალი სისტემით.

სპორტიდან ჰალის წასვლის შემდეგ თანამედროვე ხუთჭიდში მოწინავე პოზიციები უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა დაიკავეს. უნგრელები საბჭოთა ხუთჭიდელების მასწავლებლები იყვნენ. აღმოჩნდა, რომ მათ თავიანთი ყველაზე მრისხანე მეტოქეები აღზარდეს. სამი ათეული წელიწადია გრძელდება თანამედროვე ხუთჭიდის უნგრული და საბჭოთა სკოლების დუელი. ერთი ავტორი ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად წერს, მელბურნამდე თანამედროვე ხუთჭიდში შვედები და ოფიცრები ბატონობდნენ, მელბურნის შემდეგ კი უნგრელებმა და რუსებმა აიღეს ხელში ძალაუფლებაო. მართლაც, უნგრელები და საბჭოთა ხუთჭიდელები უკვე 1952 წლიდან მოყოლებული დღემდე რიგრიგობით ხდებიან ოლიმპიური ჩემპიონები გუნდურ ჩათვლაში. მხოლოდ ერთხელ — მონრეალის ოლიმპიადაზე, როცა უნგრელთა „რიგი“ იყო, პირველი ადგილი დიდი ბრიტანეთის გუნდმა დაიკავა. პირად ჩათვლაში კი უნგრელთა უპირატესობა აშკარაა: საბჭოთა ხუთჭიდელმა (ანატოლი სტაროსტინმა) მხოლოდ მოსკოვში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა, მაშინ, როცა უმაღლეს ტიტულს სხვადასხვა დროს სამი უნგრელი სპორტსმენი ფლობდა: ფერენც ნემეტი (1960), ფერენც ტიორეკი (1964) და ანდრაშ ბალცო (1972). თითქოს 1936 წელს „დათმობილი“ ოქროს მედლის „ასანაზღაურებლად“, შვედმა ბიორნ ფერმმა შეძლო 1960-1972 წლებში დამყარებული უნგრელთა ჰეგემონიის დარღვევა და 1968 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. გარდა ამისა, სწორედ იმ წელიწადს, როცა უნგრეთისა და საბჭოთა გუნდების „მშვიდობიანი თანაარსებობა“ ინგლისელებმა დაარღვიეს, პირად პირველობაშიც „გაუთვალისწინებელი“ გამარჯვება იზეიმა პოლონელმა იანუშ პიციაკ-პეციაკმა.

საბჭოთა ხუთჭიდელთაგან პირველი ოლიმპიური ჩემპიონები იგორ ნოვიკოვი, ივან დერიუგინი (სახელოვანი ტანმოვარჯიშის — ირინა დერიუგინას მამა) და ალექსანდრ ტარასოვი იყვნენ.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე, სადაც არც საბჭოთა ხუთჭიდელები გამოდიოდნენ, არც უნგრელები და პოლონელები, ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა იტალიელმა დანიელე მასალამ, რომელმაც ჯერ კიდევ მონრეალის ოლიმპიადაზე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება, როცა მეოთხე ადგილი დაიკავა. დანიელე მასალამ ლოს-ანჯელესში გუნდურ ჩათვლაშიც გაიმარჯვა კარლო მასულოსთან და პიერ-პაოლო კრისტოფორისთან ერთად და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

თუ შევაჯამებთ თანამედროვე ხუთჭიდში გუნდურ და პირად პირველობათა შედეგებს, ასეთ სურათს მივიღებთ: უნგრელი ანდრაშ ბალცო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია (1960 და 1968 — გუნდური, 1972 — პირადი); ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან შვედი ლარს-იორან ჰალი (1952 და 1956 — პირადი), უნგრელები ფერენც ნემეტი (1960 — პირადი და გუნდური) და ფერენც ტიორეკი (1964 — პირადი, 1968 — გუნდური), საბჭოთა ხუთჭიდელები იგორ ნოვიკოვი (1956 და 1964 —გუნდური), პაველ ლედნიოვი (1972 და 1980 — გუნდური), ანატოლი სტაროსტინი (1980 — პირადი და გუნდური) და დანიელე მასალა (1984 — პირადი და გუნდური). სხვათა შორის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ფერენც ტიორეკის ძმამ — ოტო ტიორეკმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ძმასთან ერთად გუნდურ ასპარეზობაში 1964 წელს.

შეიძლება უბრალო შემთხვევითობაც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე ხუთჭიდს მუდამ ჰყავდა ლიდერები, რომლებიც აშკარად და დიდხანს გამოირჩეოდნენ სხვების ფონზე. ასეთები იყვნენ ლარს-იორან ჰალი, იგორ ნოვიკოვი, ანდრაშ ბალცო, პაველ ლედნიოვი, ანატოლი სტაროსტინი.

გიორგი ჯორჯაძე.

მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა ძიუდოში

პოზიციები რომ შევინარჩუნოთ

გურჯაანში სამ დღეს გრძელდებოდა 1970-72 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირადი პირველობა. შეჯიბრებაში, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს თაოსნობით მოეწყო და დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლის თავს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, მცხეთის, გურჯაანის, თელავის, სამტრედიის, კასპის, ახმეტის, დუშეთის, ქარელის, ზესტაფონისა და გარდაბნის სპორტსმენები, სულ 271 ძიუდოისტი.

— ეს შეჯიბრება პირველ ყოვლისა მიზნად ისახავდა კანდიდატების შერჩევას საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებისათვის, — გვითხრა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს უფროსმა მწვრთნელმა ძიუდოში, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა მერაბ ბროძელმა, — ამიტომ გვსურდა ყველა უძლიერესი ნორჩი ძიუდოისტი ჩამოგვეყვანა. ასეც მოხდა, ორთაბრძოლები საინტერესოდ ჩატარდა, რაც მთავარია, არაერთი პერსპექტიული სპორტსმენი გამოვლინდა. ახლა ისინი ნაკრების მწვრთნელთა ხელმძღვანელობით გააგრძელებენ ვარჯიშს, აქედანვე შეუდგებიან მზადებას მოსწავლეთა მომავალი საკავშირო სპარტაკიადისათვის. გასულ სპარტაკიადაზე, როგორც ცნობილია, ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა, ვეცდებით კვლავ უძლიერესთა შორის მოვხვდეთ.

გაგაცნობთ რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: გოდერძი მეკოკიშვილი (საგარეჯო), ჯონი მუზაშვილი (მცხეთა), ეკა არუთინოვი (თელავი), როინ რაზმაძე (თბილისი), ვლადიმერ დგებუაძე (სოხუმი), გია ბახტაძე (კასპი), გოჩა ჰინჭარაძე (თბილისი), კობა თათარაშვილი (საგარეჯო), პაატა ერგემლიძე (თელავი), ნუგზარ მეშვილდიშვილი (თბილისი).

შალვა დევნოზაშვილი.

(„ლელოს“ კორ.).

მკითხველი — გაზეთი

შეკითხვა: სპორტვაჭრობის მაღაზიებში ამ ბოლო ხანს ბევრი სხვადასხვა სახეობის ტრენაჟერი გაჩნდა, რომელიც შეიძლება ოთახში დაიდგას. მათ შორისაა ველოსიპედი, რაც დიდად პოპულარული გახდა მათთვის, ვისაც ჯანმრთელობის გაკაჟება სურს. მე გადავწყვიტე შევიძინო ოთახში სავარჯიშო ველოტრენაჟერი. გთხოვთ მირჩიოთ, რომელი უფრო გამოსადეგი და კარგია?

ჯემალ ჩხიკვაძე.

თბილისი.

პასუხი: ოთახის ველოტრენაჟერის ასორტიმენტი თანდათან მრავალფეროვანი ხდება. ჩვენს სავაჭრო ორგანიზაციებში იყიდება სამამულო წარმოების ექვსი სახეობის ტრენაჟერი. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან დატვირთვის მოცულობით, რეგულირებით, ცალკეულ კუნთებზე ზემოქმედებითა და მთლიანი მოდიფიკაციით. ფასებიც შესაბამისია, მაგალითად, ყველაზე მარტივი 22 მანეთი ღირს, მერე ფასი 75, 145, 154, 215 და 250 მანეთამდე იზრდება. რაც უფრო კარგი და სრულყოფილია ტრენაჟერი, მით უფრო ძვირი ღირს. ასე რომ, არჩევანი თავად შეგიძლიათ გააკეთოთ.

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

საკონტროლო მატჩი

გუშინ თბილისში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკონტროლო მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და ბაქოს „ნეფთჩი“.

მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 1:0. ბურთი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ჩივაძემ.

თბილისელთა შემადგენლობა: გაბელია (აბუსერიძე), კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია (ფრიდონიშვილი), არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული, შენგელია, მახარაძე (ქოჩქიანი).

• • •

3 მარტს გაიმართა სსრ კავშირის 48-ე ჩემპიონატის კალენდარული მატჩები:

„ჩერნომორეცი“ — „მეტალისტი“ 4:3

„სპარტაკი“ — ახა რ. 3:0

„ზენიტი“ — „ფაკელი“ 2:0

გუშინ გაიმართა მატჩი ერევნის „არარატსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“ შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 3:3.

ზომები სტანდარტულია

ფეხბურთის მოყვარულები გვეკითხებიან, ზუსტად რა ზომისაა თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის ცენტრალური სტადიონების საფეხბურთო მინდვრები.

ფეხბურთის წესების მიხედვით სათამაშო მინდორი შეიძლება იყოს სიგრძით 90-დან 120 მეტრამდე და სიგანით 45-დან 90 მეტრამდე, მაგრამ ესაა მინდვრის საერთოდ მიღებული ზომა, საერთაშორისო მატჩებისთვის კი მინდვრის ზომები დაკონკრეტებულია: სიგრძით 100-110 მეტრი და სიგანით 64-70 მეტრი.

თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის ცენტრალური სტადიონების სათამაშო მინდვრების ზომები ზუსტად შეესაბამება საბჭოთა კავშირში მიღებულ, ფიფა-ს კოდექსით განსაზღვრულ ზომებს: სიგრძე 104-105 მეტრი, სიგანე 68-69 მეტრი.

ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი

ტაშკენტში დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული, რიგით XV საერთაშორისო ტურნირი.

გათამაშების სტარტზე სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა პოლონეთის გუნდი. სხვა შეხვედრათა შედეგები: უნგრეთი — ჩეხოსლოვაკია 2:0, უზბეკეთი — გდრ 1:3, ბულგარეთი — ყირგიზეთი 1:0. ტურნირის პირველ დღეს ისვენებდნენ ფინეთისა და სსრ კავშირის მეორე ნაკრები გუნდები.

მარცხი სწორ დასკვნებს მოითხოვს

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი. 3 მარტი. 28000 მაყურებელი.

„ტორპედო“ (ქუთაისი)	1:4	„შახტიორი“ (დონეცკი)
ტყებუჩავა		ელინსკასი
ფრუიძე		შტურლაკი
ჭილაია		სოპკო
დოჩია		სიმონოვი
მაისურაძე		ჟურავლიოვი
ჯოხაძე	მე-11 წთ. გრაჩოვი	რუდაკოვი
კორღალიძე	28-ე წთ. გრაჩოვი	იაშჩენკო
კერესელიძე	49-ე წთ. მეგრელაძე	სოკოლოვსკი
მეგრელაძე	55-ე წთ. გოშკოდერია	კრავჩენკო
შვეცოვი	59-ე წთ. სოპკო	გოშკოდერია
მანაგაძე		გრაჩოვი

46-ე წთ. მანაგაძის ნაცვლად — ხაგბა, შტურლაკის ნაცვლად — ვარნავსკი, 75-ე წთ. სოკოლოვსკის ნაცვლად — პეტროვი.

მსაჯი: ვლადიმერ კუზნეცოვი (ომსკი).

კარში დარტყმა — 17:13 (8:6), ზუსტი დარტყმა — 6:6 (1:3), საჯარიმო მოედნიდან — 9:8 (3:3).

კუთხური — 5:2 (2:0).

დაჯარიმდნენ: ქუთაისელები — 10 (6), დონეცკელები — 12 (8).

საანგარიშო მატჩზე საუბარი წინა დღის ამბებით გვინდა დავიწყოთ, ვინაიდან ის, რაც 2 მარტს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ხდებოდა, უშუალოდ უკავშირდება მეორე დღეს გამართულ საფეხბურთო ორთაბრძოლას. ხვავრიელ თოვლს, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველო ესოდენ უჩვეულო და საკმაოდ მძიმე პირობებში ჩააყენა, ცხადია, ვერც ქუთაისის სტადიონის ბალახის საფარი გადაურჩა. მთელი მოედანი და, რაღა თქმა უნდა, ტრიბუნებიც, თოვლის ნახევარმეტრიანი ხალიჩის ქვეშ მოექცა. მაგრამ ამინდმა ესეც არ იკმარა —2 მარტს გადაუღებლად თოვდა. ერთი სიტყვით, ქუთაისის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების, ფეხბურთის მრავალრიცხოვან ქომაგთა უაღრესად ორგანიზებული, შეთანხმებული მუშაობა რომ არა, შეხვედრის გამართვა სათუო გახდებოდა. შუაღამემდე დაუღალავად შრომობდა ასობით ქუთაისელი, ასეთ თავდადებას კი არ შეიძლებოდა შედეგი არ გამოეღო: დილით მინდორი მწვანედ ბიბინებდა.

„ტორპედოსა“ და „შახტიორის“ კაპიტნებმა ოთარ კორღალიძემ და მიხეილ სოკოლოვსკიმ საზეიმოდ აღმართეს 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი.

სამწუხაროდ, ტორპედოელებმა ვერაფრით გადაუხადეს სამაგიერო სტადიონზე მოსულ ათასობით გულშემატკივარს. არადა, თამაშის დასაწყისი თითქოს ცუდს არაფერს უქადდა მასპინძლებს. პირველ ათ წუთში ქუთაისელები საკმაოდ ხშირად აწუხებდნენ მეტოქეთა მცველებს. განსაკუთრებით აქტიურობდა შვეცოვი, რომლის სახიფათო გარღვევებს ორჯერ კუთხური დარტყმები მოჰყვა. თუმცა „შახტიორის“ კონტრშეტევების დროს ისიც თვალში საცემი იყო, რომ „ტორპედოს“ მცველები საკმარისი სერიოზულობით არ მოეკიდნენ სტუმართა გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, გრაჩოვის უვნებელყოფას. საკვირველი კია — ეს ფეხბურთელი ხომ მუდამ გამოირჩეოდა მოულოდნელი, არასტანდარტული სვლებით, მოედანზე სწრაფი მოძრაობით... მასპინძლებმა არც მაშინ გააძლიერეს ყურადღება, როცა გრაჩოვმა საკმაოდ სახიფათო დარტყმით (მე-7 წუთზე) თითქოს აგრძნობინა მათ, რომ ტყუილად ტოვებდნენ ასე უმეთვალყუროდ. მე-11 წუთზე პარტნიორებმა შენიშნეს საჯარიმოს მარჯვენა ხაზთან მყოფი გრაჩოვი, ბურთიც მიაწოდეს და ანგარიში გაიხსნა — ფორვარდი კიდევ უფრო წინ გაიჭრა და მახვილი კუთხიდან ზუსტად საჭირო მომენტში დაარტყა. ასევე მცველთა შეცდომის შედეგი იყო გრაჩოვის მეორე გოლიც — მან მშვიდად მიიღო ბურთი და ასევე აუღელვებლად დაარტყა კარში — 2:0. მანამდე ორივე მხარეს შეეძლო ანგარიშის შეცვლა — ჯერ კორღალიძემ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცდინა კარს, შემდეგ კი სოკოლოვსკის ძლიერი დარტყმა ტყებუჩავამ მოიგერია. თავის გამოჩენა შეეძლო მეგრელაძესაც — მისი თავური დარტყმის შემდეგ ბურთმა ელინსკასის კარის ზედა ძელს გადაუარა.

თუ მეორე გოლის გატანამდე დონეცკელები უმთავრესად კონტრშეტევებს სჯერდებოდნენ, დაახლოებით 30-ე წუთიდან ისინი უფრო თამამად, დიდი ძალებით გადადიოდნენ ტორპედოელთა ნახევარზე, თუმცა მათი კარისთვის რეალური საფრთხე არ შეუქმნიათ.

მეორე ტაიმი „ტორპედომ“ ისე დაიწყო, რომ მაყურებელს მატჩის ხსნის იმედი გაუჩნდა. ქუთაისელთა შეტევები აშკარად გამოაცოცხლა დებიუტანტ ხაგბას გამოსვლამ, გააქტიურდნენ მისი სხვა პარტნიორებიც. თამაშის განახლებიდან ოთხი წუთიც არ იყო გასული, რომ ხაგბა კარგად გაიჭრა მარცხენა ფლანგზე, შორეული ძელისკენ ჩააწოდა ბურთი, ელინსკასი მხოლოდ თითის წვერებით შესწვდა მას და მეგრელაძემ არ დააყოვნა — 1:2. გაჩნდა ქულის გადარჩენის რეალური შანსი. მაგრამ აქ თავი იჩინა გამოცდილების უკმარობამ — ქუთაისელები ერთწლიანი შესვენების შემდეგ პირველ მატჩს ატარებდნენ უმაღლეს ლიგაში, გუნდის ზოგიერთი წევრი კი საერთოდ პირველად მონაწილეობდა ასეთი რანგის შეხვედრაში. „ტორპედო“ ანგარიშის გათანაბრების წყურვილმა შეიპყრო, მთელი შემადგენლობით იერიშზე გადავიდა და ზურგი გააშიშვლა. „შახტიორმა“ კარგად ისარგებლა ამით: ჯერ იყო და იაშჩენკო ტყებუჩავას პირისპირ გავიდა (ამ ეპიზოდში მეკარემ იმარჯვა), მერე კი ჭილაიას უხეში შეცდომა კარგად გამოიყენა გოშკოდერიამ — 3:1. ოთხი წუთის შემდეგ სოპკომ დაახლოებით 18 მეტრიდან ზუსტად დაარტყა — 4:1. ეს იყო და ეს. შეიძლება გავიხსენოთ ხელსაყრელი და გამოუყენებელი მომენტები, რაც მასპინძლებმა დარჩენილ ნახევარ საათში შექმნეს, მაგრამ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

დონეცკელთა კარს უტევს მერაბ მეგრელაძე

„შახტიორის“ მეკარე ვალენტინ ელინსკასი მასპინძელთა მორიგ იერიშს იგერიებს.

თემურ ჯავახაძის ფოტოები.

რა თქმა უნდა, საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით დამარცხება სასიამოვნო არ არის, მაგრამ არც განგაშის ატეხაა საჭირო. მარცხის მიზეზებს გააანალიზებენ გუნდის ხელმძღვანელები, თვითონ ფეხბურთელები. მთავარია ამ წაგებიდან მათ სწორი დასკვნები გამოიტანონ.

ბეჟან ნამიჭეიშვილი,
დავით კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

გივი ნოდია, „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი: „პირველ ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობას, სპორტკომიტეტს, ყველას, ვინც ესოდენი ყურადღება გამოიჩინა ჩვენს მიმართ და თამაშის ნორმალურად ჩატარებაში დაგვეხმარა. ვწუხვარ, რომ გავაწბილეთ გულშემატკივრები. თავის მართლება არ იქნებოდა სწორი— წაგებას ყველაზე მეტად საკუთარ თავს ვაბრალებ, შემდეგ კი, ცხადია, ფეხბურთელებსაც, განსაკუთრებით — მცველებს. მატჩმა ცხადყო, რომ ზოგიერთი მოთამაშე სეზონისთვის სათანადოდ ვერ მოემზადა, რასაც ჰქონდა როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები. ახლა ჩვენი უპირველესი საზრუნავი ამ ხარვეზების გამოსწორებაა“.

ვიქტორ ნოსოვი, „შახტიორის“ უფროსი მწვრთნელი: „მატჩის წინა დღეს დათოვლილი მოედნის ნახვამ, ცოტა არ იყოს, შეგვაშინა. მაგრამ ქუთაისელებმა, შეიძლება ითქვას, სასწაული მოახდინეს: ფეხბურთელებმა შეხვედრა შესანიშნავ მინდორზე ჩაატარეს: რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, უნდა გითხრათ, რომ ფორტუნა აშკარად ჩვენს მხარეს იყო — დიდი ანგარიში არ ასახავს ძალთა შეფარდებას კონკრეტულ მატჩში. დიდი როლი ითამაშა სასტარტო მღელვარებამაც — ქუთაისის „ტორპედო“ ხომ ახალგაზრდული კოლექტივია და, ვფიქრობ, ამ წაგების გამო ფეხბურთელებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიტეხონ გული. ჩემპიონატი ჯერ მხოლოდ დაიწყო და მთავარი ბრძოლები წინაა“.

ინფორმაცია

ზიკო სამშობლოში ბრუნდება

ბრაზილიის პრეზიდენტად ამას წინათ, როგორც ცნობილია, აირჩიეს ტანკრედუ ნევიში. ახალი პრეზიდენტი სტუმრად იყო იტალიაში, კერძოდ, რომში და ესაუბრა ამჟამად იქაურ კლუბებში მოთამაშე თანამემამულე ფეხბურთელებს.

ტ. ნევიშის ამ ვიზიტის შემდეგ ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ზიკომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბრაზილიაში ახლა ყოველ ზომას მიმართავენ, რათა ამ ქვეყნის ფეხბურთელებმა რეგულარულად ითამაშონ თავიანთ ნაკრებში და, საერთოდ, საკუთარ კლუბებს დაუბრუნდნენო.

ახლა იტალიის გაზეთები წერენ, რომ ზიკო სამშობლოში ბრუნდება. „უდინეზეს“ პრეზიდენტმა (ზიკო ამ კლუბში გამოდიოდა) ლამბერტ მაცამ კორესპონდენტებს აცნობა, რომ კლუბი დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის და ამის გამო წინააღმდეგი არ იქნება, თუ ზიკო ბრაზილიაში დაბრუნდება. „ეს ფეხბურთელი ძალიან ძვირად გვიღირს“, — დასძინა ლ. მაცამ.

მარტში ზიკოს 32 წელი შეუსრულდება. მიმდინარე სეზონი მან ტრავმების გამო თითქმის მთლიანად სათადარიგოთა სკამზე გაატარა, წინა სეზონში კი დიდად გამოიჩინა თავი: 24 მატჩში 19 ბურთი გაიტანა. „უდინეზე“ ამჟამად იტალიის ჩემპიონატის აუტსაიდერთა შორისაა. ამის გამო კლუბის ხელმძღვანელობასა და ზიკოს შორის მწვავე კონფლიქტი წარმოიქმნა.

ვერ ჩადგა ნამდვილ საბრძოლო ფორმაში კიდევ ერთი ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი სოკრატესიც, რომელიც „ფიორენტინაში“ გამოდის. კლუბის ხელმძღვანელობა ვერ მალავს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ამ ფეხბურთელში დიდძალი თანხა გადაიხადა.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელებისა და იტალიის პროფესიული კლუბების ხელმძღვანელთა უთანხმოებებს პრეზიდენტ ტ. ნევიშის გასაუბრებამაც შეუწყო ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის თანატოლი

8-10 მარტს თბილისში: საბჭოთა კავშირი — ჩეხოსლოვაკია

დევისის თასი 1900 წლის 16 იანვარს დააწესა ამერიკელმა დუაიტ ფილი დევისმა, რომელიც თვითონაც მონაწილეობდა პირველ ორ გათამაშებაში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის წევრი.

დღემდე ამ ასპარეზობებში ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწიეს აშშ-ისა და ავსტრალიის ჩოგბურთელებმა: ამერიკელებმა მოიგეს 28 შეჯიბრება, ავსტრალიელებმა—25.

დევისის თასის გათამაშებებში მონაწილეობის რეკორდი ეკუთვნის ცნობილ იტალიელ ჩოგბურთელს ნიკოლო პიეტრანჯელის, რომელიც 1954-1972 წლებში 164 მატჩში იცავდა თავისი ქვეყნის ნაკრების ღირსებას და აქედან 120 მოიგო. შემდეგ მოდიან: ი. ნასტასე (რუმინეთი) — 142 შეხვედრა (110 გამარჯვება), ჟ. ბრიშანი (ბელგია) 120 (71), მ. სანტანა (ესპანეთი) —(91), ტ. კოხი (ბრაზილია) — 118 (75), ხ. მანდარინო (ბრაზილია) —109 (67), ი. ცირიაკი (რუმინეთი) — 109 (70), ა. მეტრეველი (სსრ კავშირი) —105 (78).

მიუხედავად მოკრძალებული პირველი ნაბიჯებისა, იმ შორეულ 1900 წელს, დევისის თასი თანდათანობით იქცა ერთ-ერთ უდიდეს საერთაშორისო გუნდურ ასპარეზობად, რომელშიც ერთმანეთს შესანიშნავად ერწყმის წარსულის ტრადიციები და დღევანდელი დღის პრაქტიკული მოთხოვნები. საკმარისია ითქვას, რომ დღეს ეს შეჯიბრება მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატად ითვლება.

სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ გათამაშების მონაწილეთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება (წლეულს სარბიელზე გამოვლენ 63 ქვეყნის წარმომადგენლები, რაც სარეკორდო ციფრია). ასპარეზობის რეორგანიზაცია, რაც 1981 წელს მოხდა, წარმატებით დაგვირგვინდა. მან ხელი შეუწყო არა მარტო შეჯიბრების პოპულარიზაციას ჩოგბურთის მოყვარულთა შორის, არამედ სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ოსტატებიც შეაგულიანა, რომ მხარი დაეჭირათ გათამაშებისათვის, ეს კი, როგორც ცნობილია, ჩოგბურთელთა შეჯიბრებებისადმი მაყურებელთა ინტერესის ზრდის ერთ-ერთი საწინდარია.

დევისის თასის გათამაშება, რომელმაც სტარტი XX საუკუნის გარიჟრაჟზე აიღო, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გუნდების შეჯიბრებამ, რომელსაც ბოსტონის კორტებზე მხოლოდ მაყურებელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ადევნებდა თვალს, ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბის ასპარეზობად იქცა.

ამჟამად თასისთვის იბრძვის მსოფლიოს 16 უძლიერესი გუნდი, რომელთაც ეს უფლება წინა სეზონის შედეგებით მოიპოვეს. მათგან ოთხი ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულია.

სხვადასხვა წლებში დევისის თასი მოპოვებული აქვთ ავსტრალიის, აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და სხვა ქვეყნების გუნდებს. ასპარეზობის პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება. მაგალითად, შარშან გიოტებორგის კორტებზე თასის გათამაშების ფინალურ მატჩს აშშ-ისა და შვეციის გუნდებს შორის უამრავი ხალხი მიაწყდა. სამივე დღის შეხვედრებზე ბილეთები კარგა ხნით ადრე დაიტაცეს. აქვე ვიტყვით, რომ პროგნოზების საწინააღმდეგოდ, ფინალური მატჩი შვედების უპირატესობით წარიმართა და მათივე დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა—4:1.

ქართველი ჩოგბურთის მოყვარულებისათვის დიდად სასიხარულოა ის ამბავი, რომ წლეულს დევისის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი თბილისში გაიმართება. 8-10 მარტს ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები.



დევისის თასის მერვედფინალური მატჩის აფიშა.

ჩოგბურთი

ნორჩები ოსტატობას ხვეწენ

თბილისის ჩოგბურთის სასახლეში დამთავრდა ჭაბუკთა პირველი საკავშირო ტურნირი საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზზე. ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის 50-მდე ნორჩი ჩოგბურთელი ჩაება.

შეჯიბრების შედეგებზე გვესაუბრება ტურნირის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი გურამ თოხაძე:

— ჭაბუკ სპორტსმენთა შეხვედრები მეტად დაძაბულად წარიმართა, მეტოქეებს ხშირად სამი პარტიის გამართვა სჭირდებოდათ გამარჯვებულის გამოსავლენად. ზოგჯერ მატჩები შუა ღამემდე გრძელდებოდა და იმდენად საინტერესოდ მიმდინარეობდა, რომ მაყურებელი მაინც არ ტოვებდა დარბაზს. სპორტკომიტეტის პრიზებს ერთმანეთს ეცილებოდნენ 1973-74 წლებში დაბადებული ჩოგბურთელები, თუმცა მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებაში რამდენიმე უფრო ახალგაზრდა სპორტსმენიც დაუშვა.

სასიხარულოა, რომ გოგონათა ტურნირის ნახევარფინალში ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელი გავიდა. დაძაბულად წარიმართა თბილისელი ელენე ქელეხსაევასა და კიშინიოველი ნატალია ტომაკის პაექრობა. საბოლოოდ გამარჯვება ჩვენი ქალაქის სტუმარს დარჩა — 4:6, 7:6, 6:4. მეორე ნახევარფინალი „თბილისური" იყო. რუსუდან მძინარიშვილმა ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ მაინც გატეხა ნატალია ვერულავას წინააღმდეგობა — 7:6, 7:5. რუსუდანს ფინალში ტომაკთან გამარჯვება არ გასჭირვებია — 6:2, 7:6. სამაგიეროდ უაღრესად დაძაბული გამოდგა შეხვედრა მესამე ადგილისათვის. ქელეხსაევას სამი საათი დასჭირდა ვერულავასთან გამარჯვების მოსაპოვებლად — 4:6, 6:3, 6:1.

ჩვენმა ბიჭებმა შედარებით სუსტად იასპარეზეს. მათგან საუკეთესო — გივი გორდაძე მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა (მესამე ადგილისთვის შეხვედრა დათმო სვერდლოვსკელ ოლეგ ფადინთან — 2:6, 3:6). გამარჯვება წილად ხვდა დნეპროძერჟინსკელ სერგეი პოსპელოვს, რომელმაც ფინალში იოლად სძლია ვლადიმერ მარკოვს (ხარკოვი) — 6:0, 6:1.

ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენელთაგან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მაია აბაშიძემ, გიორგი ტყემალაძემ და გივი გურჩიანმა. საერთოდ, ტურნირის დონე მაღალი იყო — ნორჩი ჩოგბურთელები დღითიდღე ხვეწენ ოსტატობას.

ინფორმაცია

ტყიბულის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი. შეჯიბრებაში 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

11-11 ქულით I-II ადგილები გაიყვეს გია ბაღათუროვმა (თბილისი) და ნუკრი მანაგაძემ (ქუთაისი). III ადგილი დაიკავა ლაშა ჯანჯღავამ — 10, IV-V ადგილები გაიყვეს გია გოგიჩაიშვილმა, თამაზ ტაბატაძემ (სამივე — თბილისი) — 9,5-9,5, VI-VII—ხვიჩა სუპატაშვილმა (ქუთაისი), გრიგოლ ბიბილაშვილმა (რუსთავი) — 9-9. VIII ადგილი წილად ხვდა ბესიკ ხეცურიანს (ტყიბული) — 8,5.

ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს ბაღათუროვმა, მანაგაძემ, ჯანჯღავამ და გოგიჩაიშვილმა (მას კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა). შეჯიბრება გაიმართება თბილისში 28 მაისიდან.

ოთარ კობახიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ტურინი. ევროპის ჩემპიონთა თასი ფარიკაობაში (რაპირა, ქალები) მოიგო იტალიის კლუბმა „რომამ", რომელმაც ფინალში ანგარიშით 9:4 დაამარცხა გფრ-ის „ოფენბახი". მოსკოვის სპარტაკელები ნახევარფინალში გამოეთიშნენ ასპარეზობას — დამარცხდნენ „ოფენბახთან" (7:8).

ვარნა. ევროპის ჩემპიონატში პისტოლეტით სროლა მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა. მისი შედეგი— 1152 ქ. ახალი მსოფლიო რეკორდია. მსოფლიო რეკორდები გაუმჯობესდა კიდევ რამდენიმე სახეობაში: პნევმატური შაშხანით სროლაში ფინელმა რალფ ვესტერლუნდმა აჩვენა 594 ქულა, გუნდურ სროლაში საფრანგეთის ნაკრებმა — 1756, „გაქცეულ ტახზე" სროლაში კი რუმინეთის გუნდმა — 1132. მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ბულგარელმა ქალებმაც პნევმატური შაშხანით სროლაში — 1166 ქულა.

ლახტი. სარაევოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ფრანკ-პეტერ რეჩი ლიდერობს ბიატლონისტთა მსოფლიო თასის გათამაშებაში. უკანასკნელად მან ფინეთის ამ ქალაქში გაიმარჯვა. რეჩს 161 ქულა აქვს და მეორე ადგილზე მყოფ მსოფლიო ჩემპიონს იური კაშკაროვს 8 ქულით უსწრებს. მესამე ადგილზეა ალფრედ ედერი (ავსტრია) — 123 ქულა.

როროსი. ნორვეგიის ამ ქალაქში ჩატარდა იუნიორ მოციგურეთა მსოფლიო ჩემპიონატი. უძლიერესის სახელი წლეულსაც 17 წლის კიეველმა მოსწავლემ ვალერი გუკმა დაისაკუთრა — 166,319. მეორე და მესამე ადგილებზე საბჭოთა სპორტსმენები გავიდნენ. ვერცხლის მედალი უფელმა ილდარ გარაევმა მიიღო (168,509), ბრინჯაოსი — ლენინგრადელმა ბრონისლავ სნეტკოვმა — 169,503.

ათენი. ევროპის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატში ჭოკით მხტომელთა ასპარეზობა მოიგო მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა სერგეი ბუბკამ — 570 სმ. 200 მეტრზე რბენაში ქალთა შორის უძლიერესი იყო მარიტა კოხი (გდრ) — 22,82.

კისლოვოდსკი. ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნურ კროსში. ვაჟებში 12-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი იყო მინსკელი ვიქტორ ჩუმაკოვი —37.31,8. 5 კმ რბენა მოიგო ჩელიაბინსკელმა რენატ ალტინკუჟინმა — 14,54,6. ქალთა 3-კილომეტრიან დისტანციაზე მოსკოველმა ლუდმილა მედვედევამ გაიმარჯვა — 9.46,4.

ინცელი. ყინულის სპიდვეიში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა შვეციის გუნდი. სსრ კავშირის ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გფრ-ის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

„სპორტლოტო"

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-9 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 6 (ძიუდო) 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 20 (აფროსნობა), 39 (მთამსვლელობა), 40 (ბადმინტონი), 46 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 22 (წყალში ხტომა), 24 (ხელბურთი). 32 (ფიგურული ციგურაობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 36 (საავიაციო სპორტი)

ინფორმაცია

რედაქტორი ა. გოგელია.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

10 მარტი

ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა ● სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი)

დასაწყისი 18 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 5-6 მარტს, ხოლო სტადიონის სალაროებში (ფეხბურთის ერთ ბილეთზე — ლატარიის ერთი ბილეთი) — 5 მარტიდან 10 მარტის 12 საათამდე.

სსრ კავშირის და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

აბონემენტების მფლობელებზე ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის № 7 სალაროში.

სტადიონის სალაროები იმუშავებენ 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06082